დანართი 3

ახალი თავი 18 (ინვესტიცია)

თავი 18

ინვესტიცია

მუხლი 18.1- გამოყენების სფერო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით [2], ეს თავი ეხება მხარის მიერ განხორციელებულ ან მხარდაჭერილ ზომებს მეორე მხარის ინვესტორების ინვესტიციების მიმართ.

მუხლი 18.2 - ინვესტიციების ხელშეწყობა

1. თითოეულ მხარეს შეუძლია, თავისი ზოგადი საგარეო საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად, საკუთარ ტერიტორიაზე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მეორე მხარის ინვესტორთა ინვესტიციებს და ისწრაფოდეს ასეთი ინვესტიციებისკენ თავისი მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, აგრეთვე მხარეთა მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

2. ამ მუხლის ზოგადი მიზნებია:

a) მხარეებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაძლიერება;

b) სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების მონიტორინგი, ინვესტიციების გაფართოებისთვის შესაძლებლობების დადგენა და ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენა, რომელთა გარშემო მოლაპარაკება შესაძლებელია ორმხრივი შეთანხმებით;

c) მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლა საინვესტიციო კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პოლიტიკის შესახებ;

d) კონსულტაციები მხარეთა კონკრეტული საინვესტიციო წინადადებების შესახებ.

[2] უფრო მეტი სიცხადისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გაგებული იქნება ინვესტიციის მიმღები მხარის შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18.3 - ღონისძიებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა

1. თითოეულმა მხარემ უნდა საჯაროდ ან სხვაგვარად გამოაქვეყნოს თავისი კანონმდებლობა, პროცედურები, ადმინისტრაციული ბრძანებები და ზოგადი გამოყენების სასამართლო გადაწყვეტილებები, ასევე საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ამ თავის ფარგლებში შემავალ საკითხებზე, რათა ინვესტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები გაეცნონ მათ.

2. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა საინვესტიციო ავტორიზაცია,[3] თითოეული მხარე, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოაქვეყნებს ან სხვაგვარად, წერილობითი ფორმით უზრუნველყოფს ინვესტორებისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რამდენადაც ეს შესაძლებელია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით და მუდმივად განაახლებს მას ავტორიზაციის მიღების, გამოყენების, შესწორებისა და განახლების მოთხოვნებსა და პროცედურებთან შესაბამისობის მიზნით. ასეთი ინფორმაცია, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

a) მოთხოვნები, მათ შორის, ინვესტიციებზე მოქმედი შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი და სტანდარტები;

b) შესაბამისი ფორმები;

c) პროცედურები;

d) განაცხადის დამუშავების სავარაუდო ვადა;

e) ნებართვის საფასური;

f) შესაძლებლობები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საზოგადოების მონაწილეობისთვის;

g) განაცხადების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ან განხილვის პროცედურები;

h) სანებართვო პირობების მონიტორინგის ან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცედურები; და

i) შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია.

---

[3] ავტორიზაცია ნიშნავს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც გამომდინარეობს იმ პროცედურისგან, რომელიც ინვესტორმა უნდა დაიცვას, რათა აჩვენოს შესაბამისობა აუცილებელ მოთხოვნებთან.

მუხლი 18.4 - ზომების გონივრული, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოყენება

თითოეული მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამ თავის ფარგლებში მოქცეული ზოგადი გამოყენების ყველა ზომა გატარდება გონივრულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

მუხლი 18.5 - სანებართვო პროცედურების ზოგადი პრინციპები

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებართვების გასაცემად მის მიერ მიღებულმა ან გამოყენებულმა პროცედურებმა[4] არ გამოიწვიოს საინვესტიციო საქმიანობის გაუმართლებელი გართულება ან შეფერხება.

2. თუ მხარე იღებს ან იყენებს საინვესტიციო ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ზომებს, მან უნდა უზრუნველყოს, რომ:

(a) ასეთი ღონისძიებები გატარდება ობიექტურ და გამჭვირვალე კრიტერიუმებზე დაყრდნობით;

(b) პროცედურები მიუკერძოებელია და განმცხადებლებს საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცონ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობა; და

(c) თავად პროცედურები გაუმართლებლად არ აფერხებენ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3. მხარის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები ნებართვის მისაღებად განაცხადს აფასებენ მხარის სამართლებრივი სისტემის შესაბამისად გათვალისწინებული ღონისძიებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.[5]

მუხლი 18.6 - გასაჩივრება ან განხილვა

1. თითოეულმა მხარემ უნდა შემოიღოს ან დააარსოს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული ტრიბუნალები ან პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებული ინვესტორის მოთხოვნის საფუძველზე საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სწრაფ გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის საშუალებებს ამგვარი გადაწყვეტილებების მიმართ. ასეთი ტრიბუნალები ან პროცედურები უნდა იყოს მიუკერძოებელი და შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოსგან დამოუკიდებელი და არ უნდა ჰქონდეს საქმის შედეგისადმი რაიმე არსებითი ინტერესი. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი პროცედურები დამოკიდებულია შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოზე, მხარე

[4] უფრო მეტი სიცხადისთვის, ნებართვის პროცედურები შეიძლება მოიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, განაცხადის პერიოდს, დამოწმებული ასლების მიღებას, განაცხადების დამუშავებას, არასრული განაცხადების განხილვას და განაცხადების უარყოფას.

[5] უფრო მეტი სიცხადისთვის, ცალკე განაცხადის შეფასება 18.5 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმების საფუძველზე, ან კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული დასკვნა ცალკე განაცხადთან დაკავშირებით, არ ექვემდებარება დავის მოგვარების ურთიერთგაგებას.

უზრუნველყოფს, რომ ამ პროცედურებით რეალურად განხორციელდეს ობიექტური და მიუკერძოებელი განხილვა.

2. მუხლი 18.6-ის პირველი პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მოთხოვნა მხარისადმი, შექმნას ასეთი ტრიბუნალები ან პროცედურები, თუ ეს ეწინააღმდეგება მის კონსტიტუციურ წყობას ან მისი სამართლებრივი სისტემის ბუნებას.

3. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მუხლი 18.6-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მხარეების უფლება:

(a) ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა დაასაბუთონ ან დაიცვან საკუთარი პოზიციები და მიაწოდონ ყველა საჭირო ინფორმაცია; და

(b) მიიღონ გადაწყვეტილება მტკიცებულებებისა და წარდგენილი საქმის მასალების საფუძველზე ან, თუ კანონით მოთხოვნილია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შედგენილ საქმის მასალების საფუძველზე.

4. მუხლი 18.6-ის 3(b) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას ან შემდგომ განხილვას თითოეული მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, ადმინისტრაციულ აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

მუხლი 18.7 - ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთს შორის

მხარეები აღნიშნავენ და ადასტურებენ, რომ დადებულია შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ“ (შემდგომში „ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთს შორის“), რომელიც პეკინში 1993 წლის 3 ივნისს გაფორმდა, მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შემდგომ ცვლილებასთან ერთად.

მუხლი 18.8 - დავის გადაწყვეტის მექანიზმის არგამოყენება

მხარეები თანხმდებიან, რომ ამ თავის არც ერთი დებულება არ ექვემდებარება დავის გადაწყვეტის მექანიზმს ამ შეთანხმებისა და საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ფარგლებში. ამ თავის გაგებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეებს შორის მეგობრული კონსულტაციების გზით.

მუხლი 18.9 - სხვა საერთაშორისო შეთანხმებების არგამოყენება

ეს თავი არ წარმოადგენს საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმების, მათ შორის საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ნებისმიერი დებულების ინტერპრეტაციის საშუალებას, და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სარჩელის საფუძვლად ან რაიმე ფორმით მოსარჩელის მიერ, ინვესტორებსა და სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო დავების გადაწყვეტის პროცედურების შესაბამისად, მათ შორის „საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების“ ჩათვლით.